2010 წლის 14 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრება შემდეგი ამერიკელი ექსპერტები:

1. ტალბოტ (სენდი) დ'ალემბერტე – პროფესორი, ფლორიდის შტატის უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტი, ამერკის ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი;

2. სტეფენ ქანი – ადვოკატი, ფლორიდის შტატის სენატის ყოფილი გენერალური მრჩეველი;

3. დავიდ ვოშბორნი – პენსილვანიის შტატის წარმომადგენელთა პალატის უმრავლესობის ლიდერის მრჩეველი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში;

4. ქეთრინ ვოშბორნი – პენსილვანიის შტატის სენატის საზოგადოების, ეკონომიკისა და რეკრიაციის განვითარების კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი;

10:00 საათზე გაიმართება შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის რექტორი, პრორეტქორები, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი და იურიდიული ფაკულტეტის პროფესორები. შეხვედრის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ფლორიდის შტატის უნივერსიტეტს შორის კავშირების დამყარება და მომავალი თანამშრომლობის საკითხების განხილვა.

11:00 საათზე ამერიკელი პროფესორი ტალბოტ (სენდი) დ'ალემბერტე წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე "ამერიკელი იურისტი", რომელშიც ისაუბრებს ამერიკული იურიდიული განათლების სტანდარტებზე. ლექციის შემდეგ გაიმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობის მიღება შუეძლიათ სტუდენტებსაც.

ლექცია ჩატარდება იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში I სართულზე. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისთვის ლექციაზე დასწრება თავისუფალია.